Histolith® Leinölfarbe

ბუნებრივი ხის საღებავი

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

სელის ზეთის საღებავი, სტაბილური ხის და ხის ისეთი ზედაპირებისთვის, რომლებსაც მაღალი გაფართოების კოეფიციენტი გააჩნიათ. შიდა და გარე სამუშაობისთვის.

თვისებები

- არ შეიცავს არომატიზირებულ გამხსნელებს
- ძლიერი დაცვა კლიმატური ზემოქმედებისადმი
- მაღალი ელასტიურობის უნარით
- ხანგრძლივი დროით შესაძლოა იყოს გახსნილ მდგომარეობაში

საღებავის ბაზა

სელის ზეთი, გამომშრალი

შეფუთვის ზომები

1 ლ, 2,5 ლ, 10 ლ

ფერი

შეფერადება შესაძლებელია - ColorExpress-ის სისტემაში არსებულ მრავალ ფერში

ფერის სიმტკიცე BFS მონაცემების ფურცლის Nr. 26 შესაბამისად:
შემკვრელი: კლასი C
პიგმენტაცია: ჯგუფი 1-დან 3-მდე, ფერის მიხედვით

ღია ფერები შესაძლოა გაყვითლდეს ისეთ ზედაპირებზე გამოყენებისას, რომლებსაც ნაკლები შუქი ხვდება (მაგ: შიდა სივრცეები). ეს თვისება დამახასიათებელია სელის ზეთის შემკვრელისთვის.

სიპრიალის ხარისხი

აბრეშუმისებრი პრიალა

მითითება:
სიპრიალის ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა შეწოვის უნარის მქონე ზედაპირებზე. მზის პირდაპირ შუქზე მყოფ ნაწილებზე, სიპრიალის დონე თანდათანობით მცირდება.

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას

ტექნიკური პარამეტრები

- სიმკვრივე: დაახლ. 1,05 გ/სმ³ (შეფერადებამდე)

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია № 606 -ის მიხედვით

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	○	+	+
(–) არ არის შასაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი/ (+) შესაფერისი				

CAPAROL

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან და მშრალი (ხის სინესტე < 15 %). დაიცავით - VOB, ნაწილი C, DIN 18363, ნაწილი 3.
ზედაპირის მომზადება	**ხე, დაუმუშავებელი:** *ახალი ხის ელემენტები:* ხის გლუვი ზედაპირები გაიშლიფოს ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გადსუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). **ძველი, დაუმუშავებელი ხე:** განაცრისფრებული, ამინდისგან გამომშრალი ხე დაიშლიფოს ჯანმრთელ, მზიდუნარიან ზედაპირამდე და საფუძვლიანად გაიწმინდოს. **მზიდუნარიანი ძველი დანაფარები:** *ზეთი-/ალკიდის ფისოვანი საღებავები:* საფუძვლიანად გაიშლიფოს. **დისპერსიული საღებავები და აკრილის ლაქები:** მთლიანად უნდა მოშორდეს.
დატანის მეთოდები	დატანა ხდება ფუნჯით
დაფარვის სტრუქტურა	**გაჟღენთვა:** მუხის ხე ინტერიერში და ექსტერიერში: Histolith® Halböl-ით. წიწვოვანი ხე ექსტერიერში: Capalac Holz-Imprägniergrund-ით. წიწვოვანი ინტერიერში : Histolith® Halböl-ით. **საგრუნტავი ფენა:** Histolith® Leinölfarbe **შუალედური ფენა:** Histolith® Leinölfarbe **დამასრულებელი ფენა:** Histolith® Leinölfarbe საგრუნტავი-/შუალედური-/დამასრულებელი ფენები დაიტანეთ მხოლოდ შეფერადებული. **მასალის დატანა:** გამოყენებამდე კარგად ამოურიეთ. დაიტანეთ Histolith® Leinölfarbe ბოჭკოების მიმართულებით და კარგად გაასწორეთ. ყოველთვის დაიტანეთ მასალა თხელ ფენად და გადაანაწილეთ ზედმეტი მასალა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ზედაპირმა გაიჩინოს ნაოჭები.
ხარჯი	ერთი ფენაზე დაახლ. 80–100 მლ/მ² - გლუვ ზედაპირზე. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით
გამოყენების პირობები	**მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:** ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა +8 °C
შრობის დრო	გამოცდილებამ აჩვენა, რომ სელის ზეთის საღებავები უფრო მეტ შრობის დროს მოითხოვენ, ვიდრე თანამედროვე სინთეზური ფისოვანი საღებავები. 20 °C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში, ზედაპირი წვიმა-მედეგია 8 საათის შემდგომ, ხოლო 24 საათში მზადაა შემდეგი ფენის დასატანად. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. მოერიდეთ კანზე, თვალებში ან ტანსაცმელზე მოხვედრას. კანზე მოხვედრის შემთხვევაში საფუძვლიანად დაიბანეთ წყლით და საპნით.
შენიშვნა	სელის ზეთში დასველებული ტილოები და ნაჭრები მიდრეკილია თვითაალებისაკენ (მათში შემავალი სელის ზეთის გამო), ამიტომ ისინი ყოველთვის უნდა ინახებოდეს მჭიდროდ დახურულ ლითონის ჭურჭელში, ან უტილიზაციამდე გაშლილ მდგომარეობაში საფუძვლიანად უნდა გაშრეს.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც წყალდისპერსიული საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საღებავი ან სამშენებლო ნაგავი..
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	პროდუქტის კატეგორია (Kat A/d): 300 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს 220 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი	BSL20 (alt: M-LL05)

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge